04/06/2026

MES 4 26 0000671818

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 01.06.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 17:05 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:
ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:
1) ა(ა)იპ თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ხატია ბუჩუკური - ბაგა-ბაღის დირექტორი.
2) ა(ა)იპ ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ნადეჟდა ყოჩიშვილი – ბაგა-ბაღის დირექტორი.
3) ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება:
ანაიდა ასატურიანი – გაერთიანების დირექტორი;
სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღი:
სონია ღარიბიან - ბაღის მენეჯერი;
სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღი:
არტიუშ ზაქარიან - ბაღის მენეჯერი;
სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღი:
ანი მეგერიან - ბაღის მენეჯერი;
სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღი:
მზევინარ აბულაძე - ბაღის მენეჯერი.
4) ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღი:
დირექტორი - სოფიო კაპანაძე;
საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - მაია მიჩილაშვილი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

1) **ა(ა)იპ თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღი:**
ელზა უდესიანი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ელენე ფიცხელაური - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გორდაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
2) **ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება** (სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღი)**:**

მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო გულიაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
3) **ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება** (სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღი):
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო გულიაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
4) **ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება** (სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღი):
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო გულიაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
5) **ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება** (სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღი):
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო გულიაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
6) **ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღი:**
ზვიადი არძენაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ანა ბოჭორიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გიორგი ანთაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 01 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიოჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **დიახ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ა(ა)იპ ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ჩანიშნულიყო 2026 წლის 8 ივნისის საბჭოს სხდომაზე. ასევე, მიმდინარე სხდომაზე, მეექვსე საკითხად განხილულიყო ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხი.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა ცვლილებით და წარმოდგენილი სახით:

1. ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელზა უდესიანმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12 და 13 თებერვალს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, სახელმძღვანელო ნაწილი I ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“- მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ (გამოშვების თარიღი 2020წ.) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ნაწილი II პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის (გამოშვების თარიღი 2020წ.) ბაგა-ბაღის“ 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში კურიკულუმი სასკოლო მზაობის პროგრამა – „თამაში“, აღმზრდელის სახელმძღვანელო სწავლისა და განვითარებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ აქტივობათა კრებული I და კრებული II (გამოშვების თარიღი 2015წ.)
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 294.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 294 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ელზა უდესიანმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების წესით და აღნიშნული წესი მოიცავდა თუ არა აღმზრდელის მხრიდან ბავშვზე ძალადობის საკითხს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რიგში ხდება ბავშვზე დაკვირვება, ძალადობის ეჭვის შემთხვევაში ივსება შესაბამისი ფორმა და სამუშაო პროცესში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი, რაც შეეხება უშუალოდ აღმზრდელის მხრიდან ბავშვზე ძალადობის შემთხვევას, კონკრეტული მექანიზმი გაწერილი არ არის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან ბავშვის სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების საკითხით.
სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რიგში განხორციელდება ბავშვზე დაკვირვება და შესაბამისი ჩანაწერების შექმნა ხოლო ეჭვის შემთხვევაში ჩაერთვება ფსიქოლოგი და მულტიდისციპლინური გუნდი.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა საბავშვო ბაღის პერსონალის გადამზადების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პერსონალს გადამზადება გავლილი ჰქონდა რეფერირების, პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული გადამზადების 66 საათიანი ტრენინგ მოდულის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:55
დასრულების დრო - 14:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 294-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად ა(ა)იპ ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღს 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 294-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღი) ავ ტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 და 18 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტან მიმართებით შეფასდა როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტმა მაკა ჭყონიამ განმარტა, რომ დასკვნაში, მეორე სტანდატის შეფასებასთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი კერძოდ ,,ნაწილობრივ შეესაბამება" ნაცვლად უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შედგენის დროს მაქსიმალური ვადები იქნა გაწერილი, თუმცა გარკვეული საკითხები, ამ ეტაპზე, უკვე აღმოფხვრილი ჰქონდათ.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა წყალმომარაგების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:03
დასრულების დრო - 15:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ კულიკამის №10 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 1 ივნისისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღი) ავ ტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 75.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 75 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტმა მაკა ჭყონიამ განმარტა, რომ დასკვნაში, მეორე სტანდატის შეფასებასთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი კერძოდ ,,ნაწილობრივ შეესაბამება" ნაცვლად უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებით საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი გარკვეული საკითხები უკვე აღმოფხვრილი ჰქონდათ. ასევე, ივნისის თვიდან დაგეგმილი იყო პერსონალის გადამზადება. დაგეგმილი იყო ეზოს მოწყობა და საგანმანათლებლო რესურსის შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:20
დასრულების დრო - 15:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ კუმურდოს №15 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75- ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 1 ივნისისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღი) ავტო რიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 და 22 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტმა მაკა ჭყონიამ განმარტა, რომ დასკვნაში, მეორე სტანდატის შეფასებასთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი კერძოდ ,,ნაწილობრივ შეესაბამება" ნაცვლად უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭყონიამ, აღნიშნა რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყო ორი აღმზრდელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:52
დასრულების დრო - 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ კარწახის №9 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30- ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 1 ივნისისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღი) ავტო რიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 35 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტმა მაკა ჭყონიამ განმარტა, რომ დასკვნაში, მეორე სტანდატის შეფასებასთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი კერძოდ ,,ნაწილობრივ შეესაბამება" ნაცვლად უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:18
დასრულების დრო - 16:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ პტენის №11 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 1 ივნისისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

ექსპერტმა, ზვიადი არძენაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 თებერვალს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო - თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 260. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 260 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ზვიად არძენაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების, მათი შემდგომი მხარდაჭერისა და აღნიშნული მიმართულებით მშობელთა განათლების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდა იმ ოფიციალურ უწყებებთან თანამშრომლობისა, რომლებიც აღნიშნულ საკითხს კურირებს, საბავშვო ბაგა-ბაღს გააჩნია შიდა მექანიზმები, როგორიცაა დაკვირვების მრავალფეროვანი სახეობები, რომლის შესაბამისად დგება სახელმწიფო სტანდარტზე დაფუძნებული კითხვარი/შეფასება. განხორციედება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, ფსიქოლოგი ადგენს სკრინინგ ფორმებს, რომლებიც ასევე აიდენტიფიცირებს რეფერირების საკითხს, რის საფუძველზეც მშობლებთან გასაუბრების შემდგომ, მოხდება ბავშვის შესაბამის სპეციალისტებთან რეფერირება. საბავშვო ბაგა-ბაღში არის მულტიდისციპლინური გუნდი და საჭიროების შემთხვევაში აღსაზრდელებს გაუწევს შესაბამის მომსახურებას.

საბჭოს წევრი ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა საბავშვო ბაგა-ბაღის პერსონალის გადამზადებისა და მათ მიერ გავლილი ტრენინგ- მოდულების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალს გავლილი აქვს „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების“ 66 კრედიტიანი ტრენინგ-მოდული, პერსონალი გადამზადებულია ინკლუზიური განათლების მიმართულებით და მოკლევადიანი გადამზადების პროგრამებით, მონაწილეობა აქვთ მიღებული სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, რომელიც ეხება, მაგალითად, ემოციურ უსაფრთხოებას, ასევე ტარდება შიდა ტრენინგები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა საბავშვო ბაგა-ბაღში არაქართულენოვანი ბავშვების არსებობისა და ინტეგრაციის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვების ძირითადი ნაწილი კარგად ფლობს ქართულ ენას, ხოლო ბავშვების იმ ნაწილთან, რომლებიც არაქართულენოვანია, გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომა.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა მშობელთა ჩართულობის რეგულაციისა და მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს არსებობის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშობელთა ჩართულობა უზრუნველყოფილია მოქნილი საშუალებებით, როგორიცაა, მაგალითად, შეხვედრები, როგორც პირისპირი, ისე დისტანციური ფორმატით. რაც შეეხება მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს, ისინი ინფორმირებული არიან და მონაწილეობას მიიღებენ ყველა შესაბამისი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:00
დასრულების დრო -17:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქ. თბილისის N71 საბავშვო ბაგა-ბაღს 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე